POS-ტერმინლში ბარათის საგადახდო საშუალებად მიღების წესები და POS-ტერმინალის მომსახურების ინსტრუქცია

წინამდებარე წესში და ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც საერთაშორისო VISA და Mastercard ბარათების მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს.

- ✓ ბარათის საგადახდო საშუალებად მიღებისას სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ვალდებულია:
  - შეამოწმოს, რომ პლასტიკური ბარათი არის VISA ან Mastercard ტიპის ბარათი;
  - შეამოწმოს ბარათის მოქმედების ვადა;
  - შეამოწმოს, ბარათის მთლიანობა (ბარათი არ არის დაზიანებული).
- ✓ საბარათე ოპერაციის განსახორციელებლად ბარათი უნდა გატარდეს POS-ტერმინალში და კლავიატურის მეშვეობით, ან ინტეგრირებული კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, მიეთითოს საბარათე ოპერაციის თანხა, რის შემდეგაც ობიექტის წამომადგენელი უნდა დაელოდოს ბარათით გადახდის ავტორიზაციის პასუხს.
- ✓ POS-ტერმინალიდან საბარათე ქვითრის ამობეჭდვის შემდგომ ობიექტი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საბარათე ქვითარზე დაბეჭდილი ბარათის ნომერი ემთხვევა ბარათზე არსებულ ბარათის ნომერს (პირველი 4 ციფრი და ბოლო 4 ციფრი). თუ ბარათზე არსებული ნომერი არ ემთხვევა საბარათე ქვითარზე დაბეჭდილნომერს, ბარათი გადახდისათვის ან თანხის განაღდებისთვის არ მიიღება და ობიექტი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს ბანკს.
- ✓ POS-ტერმინალის საშუალებით ბოლოს განხორციელებული საბარათე ოპერაციის გაუქმება შესაძლებელია POS-ტერმინალის მეშვეობით (მენიუში „ოპერაციის გაუქმება“ და შემდეგ OK).
- ✓ თუ ბარათით გადახდის ავტორიზაციის პასუხით მოითხოვება წარდგენილი ბარათის ამოღება, ასევე ვადაგასული, დაბლოკილი, ან სტანდარტული რეკვიზიტების არ მქონე ბარათის წარმოდგენის შემთხვევაში, ობიექტმა ამის შესახებ არსებული გარემომებების გათვალისწინებით მიმართოს POS ტერმინალის მომსახურე ბანკს.
- ✓ საბარათე ოპერაციაზე უარის კოდების სია მოცემულია POS-ტერმინალის მომსახურების ინსტრუქციაში.

POS ტერმინალის მოხმარების ინსტრუქცია

პლასტიკური ბარათის გატარება ტერმინალში

პლასტიკური ბარათის ტიპიდან გამომდინარე, შესაძლებელია გატარება განხორციელდეს 3 სხვადასხვა მეთოდით:

1. უკონტაქტო პლასტიკური ბარათი - პლასტიკურ ბარათს ვადებთ ტერმინალის ეკრანს
2. ჩიპიანი პლასტიკური ბარათი - ბარათს ვანთავსებთ ტერმინალში
3. უჩიპო პლასტიკური ბარათი - ბარათს ვატარებთ ტერმინალში

ოპერაცია „გადახდა“

ტერმინალის ეკრანზე საწყის პოზიციად მოცემულია ოპერაცია „გადახდა“. მწვანე ღილაკზე დაჭერით გადავდივართ გვერდზე, სადაც ასარჩევნია ვალუტა.
ტერმინალის ეკრანზე სტანდარტულად არჩეულია ვალუტა ლარი (GEL). ვალუტის არჩევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ფუნქციის გააქტიურების შედეგად, მერჩანტის მოთხოვნის საფუძველზე.
შემდეგ გვერდზე გადასასვლელად ვაჭერთ მწვანე - დასტურის ღილაკს.
გადავდივართ გვერდზე, სადაც ვკრეფთ თანხის ოდენობას, შემდეგ კი კვლავ ვაჭერთ მწვანე - დასტურის ღილაკს.
ეკრანზე გამოისახება უკონტაქტო ბარათის მანიშნებელი და ტექსტი „შეიყვანეთ ბარათი“.
ვახორციელებეთ ბარათის გატარებას[1].
საჭიროების შემთხვევაში, ტერმინალის ეკრანზე გამოისახება ტექსტი „შეიყვანეთ PIN კოდი“
ოპერაცია „გადახდა“ მთავრდება მწვანე ღილაკზე დაჭერით.

[1] იხ. „ პლასტიკური ბარათის გატარება ტერმინალში“

ოპერაცია „ოპერაციის გაქუმება“

თუ გვსურს ბოლოს მოხსნილი თანხა დავუბრუნოთ კლიენტს, ტერმინალზე ზედა მარცხენა ფუნქციონალურ ღილაკზე დაჭერით გადავდივართ ადმინისტრაციულ მენიუში, სადაც შესაბამისი ნომრის აკრეფით ვირჩევთ კატეგორიას „აირჩიეთ ოპერაცია“
შემდეგ კი კატეგორიას - „ოპერაციის გაუქმება“ და ვადასტურებთ არჩევანს მწვანე ღილაკზე დაჭერით.
ეკრანზე გამოისახება ბოლო ტრანზაქციის მონაცემები. ტერმინალში ვატარებთ ბარათს[2]
მწვანე ღილაკზე დაჭერით ვასრულებთ ოპერაციას - „ოპერაციის გაუქმება“.

ოპერაცია „დღის დახურვა“

ტერმინალის ზედა მარცხენა ღილაკზე დაჭერის შემდეგ ადმინისტრაციულ მენიუში შესაბამისი ნომრის აკრეფით ვირჩევთ კატეგორიას „სერვისი“, შემდეგ კი კატეგორიას - „CLOSE DAY” (დღის დახურვა).
ოპერაცია დასრულდა წარმატებით.
დღის გახსნა ხდება ავტომატურად.

ოპერაცია "ჰოსტიდან ჩამოტვირთვა"

"ჰოსტიდან ჩამოტვირთვა" არის ტერმინალის ბანკთან კავშირის ფუნქცია. თუ ტერმინალი ვერ უკავშირდება ბანკს ან წერს DECLINED 898, ზედა მარცხენა ფუნქციონალურ ღილაკზე დაჭერით გადავდივართ ადმინისტრაციულ მენიუში, სადაც შესაბამისი ნომრის აკრეფით ვირჩევთ კატეგორიას "სერვისი", შემდეგ კი კატეგორიას - "ჰოსტიდან ჩამოტვირთვა".
შედეგად ამოიბეჭდება დასტურის ჩეკი კოდით 880.

დამატებითი მოქმედებები:

- მწვანე ღილაკი - „დასტური“
- ყვითელი ღილაკი - „რედაქტირება“
- წითელი ღილაკი - საწყის მდგომარეობაში დაბრუნება
- მარცხენა ფუნქციონალური ღილაკი - ადმინისტრაციული ოპერაციების მენიუ.

უარის კოდები

კოდი	მნიშვნელობა
50, 74	უარის მიზეზის დაზუსტების გარეშე
51	ვადაგასული ბარათი
52	გადაჭარბებულია პინ-კოდის შეყვანის არასწორი მცდელობების რაოდენობა
53, 55, 58, 59	ოპერაცია ბარათზე აკრძალულია
56	მოცემული ტიპის ოპერაცია აკრძალულია
57	მოპარული ან დაკარგული ბარათი
60	უარი ოპერაციის ჩატარებაზე ბარათის ანგარიშის არარსებობის გამო
64	შეცდომა მაგნიტური ფირის ამოკითხვისას
76	ბარათზე სახსრების უკმარისობა
82	მიღწეული პერიოდის განმავლობაში ოპერაციათა რაოდენობის ზღვარი
89	დახურული ბარათი
93	თაღლითობა
95	ოპერაციების თანხა ძალიან დიდია
96	მოითხოვება პინ-კოდის შეყვანა
100	უარი ელექტრონული ავტორიზაციის ჩატარებაზე
101	ბარათის მფლობელი უნდა დაუკავშირდეს ბანკს

[2] იხ. „ პლასტიკური ბარათის გატარება ტერმინალში“

105	არ ხორციელდება მოცემული ტიპის ბარათის მომსახურება
107	ხარჯვის ლიმიტი ამოიწურა
113	არ არის კავშირის ბანკ-ემიტენტთან
200	ბარათის ნომერი არასწორია
201	შეყვანილია არასწორი პინ-კოდი
206	ბარათი არ არის რეგისტრირებული ემიტენტის მიერ
208	ბარათის მოქმედების ვადა არასწორია
900, 901, 902, 903	ბარათი ექვემდებარება ამოღებას